კავშირი ნომოფობიას , შფოთვის დონესა და თვითშეფასებას შორის

მარიტა მაილაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : დარეჯან კახიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიტა მაილაშვილი

20.06.2024

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ერთ-ერთი ასეთია მობილური ტელეფონი. მობილური ტელეფონები თანამედროვე ცხოვრების უნივერსალური ნაწილი გახდა. ის არ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, მას ასევე იყენებენ სოციალური ქსელებისთვის , არის ონლაინ სავაჭრო ინსტრუმენტი, კალენდარი, მაღვიძარა და მობილური ბანკი. სწორედ მობილური ტელეფონის ხშირმა გამოყენებამ წარმოშვა ტერმინი ნომოფობია. ეს არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, როცა ადამიანებს აქვთ მობილურ ტელეფონთან კავშირის გაწყვეტის შიში. ნომოფობია მდგომარეობაა, რომელიც ვლინდება, როდესაც ტელეფონით კავშირის დამყარება შეუძლებელია და ჩნდება დისკომფორტის შეგრძნება. კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს ნომოფობიის კავშირი ქართველი სტუდენტების თვითშეფასებასა და შფოთვის დონესთან. კვლევაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის 155 სტუდენტი. მონაცემები შეგროვდა ონლაინ კითხვარფის მეშვეობით, რომელიც მოიცავდა ნომოფობიის, თვითშეფასებისა და შფოთვის დონის განმსაზღვრელ კითხვარს. შედეგებით გამოვლინდა , რომ არსებობს უარყოფითი კავშირი ნომოფობიასა და თვითშეფასებას შორის. (r= -,127.) ასევე უარყოფითი კავშირი გამოვლინდა ნომოფობიასა და შფოთვის დონეს შორის. (r= -,242) . სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგი მივიღეთ სქესის მიხედვით ნომოფობიის გავრცელების მხრივ.

საკვანძო სიტყვები: ნომოფობია, თვითშეფასება, შფოთვა, გენდერი.

Abstract

In the 21st century, life without digital technologies is unthinkable. One of them is the cell phone. The cell phone has become a universal part of modern life. It is not only a means of communication, it is also used for social networking, is an online shopping tool, a calendar, an alarm clock and a mobile bank. It is the frequent use of the mobile phone that gave rise to the term nomophobia. It is a psychological warfare when people are afraid to disconnect from their cell phones. Nomophobia is a condition that manifests itself when it is impossible to make a phone call and there is a feeling of discomfort. The research aims to determine the relationship between nomophobia and self-esteem and anxiety levels of Georgian students. 155 undergraduate and graduate students from different universities participated in the study. Data was collected through an online questionnaire, which included a questionnaire to determine the level of nomophobia, self-esteem and anxiety. The results showed that there is a negative relationship between nomophobia and self-esteem. (r= -.127.) A negative relationship was also found between nomophobia and anxiety level. (r = -.242). We obtained a statistically significant result regarding the distribution of nomophobia by gender.

Key words: Nomophobia, self-esteem, anxiety, gender.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს , დარეჯან (ჯანა) კახიანს, რომელიც ჩართული იყო კვლევის განხორციელებისა და ნაშრომის წერის პროცესში. მისი პროფესიული და ადამიანური დახმარების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.

ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე ვერ შევძლებდი კვლვის ჩატარებას და სამაგისტრო ნაშრომის დასრულებას.